იაპონიის სამრეწველო პოლიტიკა, როგორც ქვეყნის წარმატების ფაქტორი

DOI:10.36962/ECS106/11-12/2024-75

თათია ღურწკაია
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
t.gurtskaia@gtu.ge

მაკა გოგოლაძე
აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი

კარლო ღურწკაია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

სამრეწველო პოლიტიკას განსაკუთრებული ადგილი უკავია იაპონიის ეკონომიკაში. მისი მეშვეობით შეიქმნა ხელსაყრელი პირობები გარკვეული დარგების განვითარებისთვის, რაც იაპონიის მრეწველობის საყრდენი გახდა და ჩამოყალიბდა კარგი საინვესტიციო კლიმატი. ქვეყანამ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონია გახდა მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერი და მეორე ქვეყანა შრომის მწარმოებლურობის კუთხით, რაშიც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა და სამრეწველო პოლიტიკამ. 1964 წელს ქვეყანამ წარმატებით ჩაატარა ოლიომპიური თამაშები, გამოავლინა რა მასშტაბური ღონისძიებებში მონაწილეობის ორგანიზაციული უნარები. იაპონურმა კულტურამ მოიპოვა საყოველთაო აღიარება, იაპონური ბრენდები კი ხარისხის და საიმედოობის სიმბოლო გახდა.

საკვანძო სიტყვები: იაპონია, სამრეწველო პოლოტიკა, წარმატება, მწარმოებლურობა.

ძირითადი ტექსტი

სამრეწველო პოლიტიკა-სახელმწიფოს სწრაფვაა მიმართოს რესურსები ამა თუ იმ სფეროში, რომელსაც თვლის პერსპექტიულად ეკონომიკური ზრდის კუთხით. რადგან აღნიშნული გულისხმობს რესურსების გადატანას ერთი სფეროდან მეორეში, სამრეწველო პოლიტიკის მეშვეობით მრეწველობის ცალკეული დარგები ვითარდება სხვების ხარჯზე. ამასთან, ამ პოლიტიკის მთავარი პრობლემა-პრიორიტეტული დარგების შერჩევაა.

განსაკუთრებული ადგილი უკავია სამრეწველო პოლიტიკას იაპონიის ეკონომიკაში, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ მისი ობიექტია იაპონიის ეკონომიკის ყველაზე დიდი და დინამიური სფერო და მეორე, სწორედ აქ გამოირჩევა სახელმწიფოს პოლიტიკა ყველაზე მეტი კომპლექსურობით, თანმიმდევრულობით და მიზანმიმართულობით. სამრეწველო პოლიტიკამ შექმნა ხესაყრელი პირობები გარკვეული დარგების განვითარებისთვის, რაც იაპონიის მრეწველობის საყრდენი გახდა და ხელი შეუწყო ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებას. სამრეწველო პოლიტიკის წყალობით გასული საუკუნის 70-80-იან წლებში დეპრესიული დარგების სტრუქტურული გარდაქმნის ხარჯები მნიშვნელოვნად შერბილდა. ქვეყანამ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონია გახდა მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერი და მეორე ქვეყანა შრომის მწარმოებლურობის კუთხით, რაშიც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა და სამრეწველო პოლიტიკამ. 1964 წელს ქვეყანამ წარმატებით ჩაატარა ოლიომპიური თამაშები, გამოავლინა რა

მასშტაბური ღონისძიებებში მონაწილეობის ორგანიზაციული უნარები. იაპონურმა კულტურამ მოიპოვა საყოველთაო აღიარება, იაპონური ბრენდები კი ხარისხის და საიმედოობის სიმბოლო გახდა.

იაპონიის სწრაფი განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაწილობრივ განაპირობა საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს(Ministry of Internartional Trade and Industry, MITI) და ეკონომიკის სამრეწველო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობამ. იაპონელი მკვლევარების აზრით, ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკა შესაძლოა დავყოთ ორ ეტაპად: 1950-იანი წლებიდან და 1970-იანი წლების დასაწყისამდე, როდესაც იაპონიის სამთავრობო დაწესებულებები ძირითადად პირდაპირ აკონტროლებდნენ რესურსების განაწილებას. 1970-იანი წლებიდან კი სახელმწიფოს როლი უფრო შეფარული გახდა. იაპონიის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება უპირატესად ეყრდნობა ხელმძღ ვანელობის არაფორმალურ მეთოდებს, რაც გულისხმობს სახელმწიფოსა და საქმიან წრეებს შორის შეხედულებების უწყვეტ და ინტენსიურ გაცვლას. მათ ურთიერთქმედებას უზრუნველყოფს შუამავალი ორგანიზაციები. მათ შორისაა სამრეწველო ასოციაციები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცალკეულ საწარმოთა ინტერესების აგრეგირებაში, დარგობრივი კონსენსუსის შემუშავებაში, ასევე წარმოადგენენ კომუნიკაციის არხს სახელმწიფოსა და სამრეწველო საწარმოებს შორის. სამინისტრომ გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა ოფიციალური და არაოფიციალური ბერკეტი, რომ სწორი მიმართუ ლებით წარემართა ქვეყნის საუკეთესო კომპანიების საწარმოო და საინვესტიციო სტრატეგია. შედეგი იაპონიის ეკონომიკის უპრეცენდენტოდ სწრაფი ზრდა გახდა. თავიდან სამინისტრომ დაარწმუნა იაპონური კომპანიები სახსრები დაებანდებინათ ფოლადჩამომსხმელ მრეწველობასა და გემთმშენებლობაში, მაგრამ სხვა ქვეყნების მხრიდან მსგავსი ნაბიჯების გადადგმის შემდეგ, იაპონიის სახელმწიფო და კერძო სექტორმა კონცენტრირება მოახდინეს საავტომობილო მრეწველობაზე, საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და საწარმოო დანადგარებზე.

იაპონიის მრეწველობაზე კონტროლს ახორციელებს „კეირეცუ“(ურთიერთდაკავშირებულ კომპანიათა დიდი ჯგუფები). ასეთი ჯგუფის სათავეში ხშირ შემთხვევაში „კეირეცუს“ ფინანსურ საჭიროებებზე პასუხისმგებელი დიდი ბანკია. „კეირეცუ“-ს წევრები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის მიმწოდებლები არიან, რითაც ხელს უშლიან უცხოურ კომპანიათა შეღწევას იაპონურ ბაზარზე. გარდა ამისა, კეირეცუში შემავალი კომპანიები დაცულები არიან კონკურენტი კომპანიების მხრიდან შთანთქმისგან, რაც უზრუნველყოფილია აქციების ჯვარედინი ფლობის კარგად მოფიქრებული სისტემით. კეირეცუს წევრები ხშირ შემთხვევაში საექსპორტო პროდუქციის გასაღებას მთელ მსოფლიოში ანდობენ „sogo sosha“-ს- საგარეო ვაჭრობის კომპანიას, რომელიც საექსპორტო ოპერაციებზეა სპეციალიზებული.

შესაბამისად, მართალია, მეორე მსოფლი ომის შემდეგ იაპონია იყო დანგრეული და მიწასთან გასწორებული, მაგრამ იაპონელი ხალხის შრომისმოყვარეობის და დაჟინების წყალობით, ქვეყანამ გადალახა დაბრკოლებები და დაიწყო აღდგენა. იაპონია გახდა მსოფლიო თანამეგობრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე, რომელიც ტრადიციების და ინვესტიციების გასაოცარი სინთეზის დემონსტრირებას ახდენდა, რაც ამ საოცარი ქვეყნის უდიდესი მონაპოვარია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. P.R. Krugman-International Economics: Theory and Policy, Global Edition, 12 edition-2022;
2. International Business-A Managerial Perspective-8 edition-Ricky W. Griffin, Michael W. Pustay, 2014;
3. ღურწკაია კ.ი., ღურწკაია თ.კ.,საერთაშორისო ბიზნესის აქტუალური საკითხები, 2017 ;

REFERENCES:

1. P.R. Krugman-International Economics: Theory and Policy, Global Edition, 12 edition-2022;
2. International Business-A Managerial Perspective-8 edition-Ricky W. Griffin, Michael W. Pustay, 2014;
3. Gurtskaia K. I., Gurtskaia T.K., Actual Topics of International Business-2017 y;

JAPAN'S INDUSTRIAL POLICY AS A FACTOR OF THE COUNTRY'S SUCCESS

Tatia Gurtskaia
GTU Associate Professor
t.gurtskaia@gtu.ge

Maka Gogoladze
ATSU Associate Professor

Karlo Gurtskaia
Academic Doctor Economics

RESUME

Industrial policy occupies a special place in the Japanese economy, and thanks to it, favorable conditions were created for the development of certain industries, which became the basis of Japanese industry and formed a favorable investment climate. The country has gained international recognition. After World War II, Japan became one of the leaders of the world economy and the second country in terms of labor productivity, in which the economic and industrial policy of the state played an important role. In 1964, the country successfully hosted the Olympic Games, demonstrating organizational skills to participate in large-scale events. Japanese culture has been universally recognized, and Japanese brands have become a symbol of quality and reliability.

Keywords: Japan, industrial policy, success, productivity.